ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №201471

ნომერი: AR155921

თარიღი : 04.06.2012

გაცემის თარიღი : 06.06.2012

გაცნობის თარიღი : 25.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , "პატარა ვაკე" / ქალაქი თბილისი , გლდანი,პატარა ვაკე ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დიმიტრი ბოგვერაძე პ/ნ 01003004973
- თბილისი მუხიანი III მ/რ კორ. 19 ბ. 46

ორგანიზაცია:
- შპს "თორიჯორჯია" კოდი: 200276487

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 12 აპრილის №120109 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 04 ივნისს №AR155921 განცხადებით მომართა შპს "თორიჯორჯია"-ს (ID 200276487) დირექტორმა მოქ. დიმიტრი ბოგვერაძემ და მოითხოვა 2012 წლის 12 აპრილის №120109 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 12 აპრილის №120109 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, გლდანში, "პატარა ვაკე"-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.005.133) საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) დამხმარე შენობა-ნაგებობის (საწყობის) ასაშენებლად გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 725 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №01.11.12.005.133.
განცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დღეის მდგომარეობით შეადგენს 1162 კვ.მ-ს საკადასტრო კოდით №01.11.12.005.145 (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012236964, მომზადების თარიღი 31.05.2012წ., საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 30.05.2012წ.). საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენობლო განვითარების ფუნქციური ზონა და სხვა ქალაქთმშენებლობითი პირობები უცვლელი დარჩა.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 12.04.2012წ. №120109 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეიცვალოს საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, მიეთითოს ახალი საკადასტრო კოდი და დაფიქსირდეს ახალი კონფიგურაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 12 აპრილის №120109 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად 725 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 1162 კვ.მ.. საკადასტრო კოდად მიეთითოს: №01.11.12.005.145 და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 12 აპრილის №120109 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.